ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N8

ქ. თბილისი; 21 დეკემბერი, 2017 წ. 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
ქეთევან მამულაშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში - **გოგა მამფორია**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე - **თამარ გვიჩიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **მერაბ მამულაშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

დღის წესრიგი

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. “საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: #01.11.05.035.010), შენობა-ნაგებობა #1-ში, პირველ სართულზე 540.31 კვ.მ ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“ (ს/კ:200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე **ილია ელოშვილის** დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ბატონი **ილია ელოშვილი** თავისი ავტობიოგრაფიიდან გამომდინარე არის უაღრესად კვალიფიციური ზემოაღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ განკარგულების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22

დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მუშაობისა და სხდომების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 4 მუხლს ემატება 1[1] პუნქტი, რომლის თანახმად, მთავრობის სხდომაზე განსახილველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - განკარგულებას, უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რასაც მოქმედი რეგლამენტი არ ითვალისწინებს. ასევე, განმარტებით ბარათში აისახება საკითხის მიღების მიზეზი და მიზანი, მისი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, პროექტის ავტორი და წარმდგენი.

თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ზუსტდება დღის წესრიგში ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ, ცვლილება გულისხმობს სხდომის დღის წესრიგში საკითხის დამატებას, ამოღებას, გადატანას ან რიგითობის შეცვლას, რაც შესაძლებლობას მისცემს მთავრობას უფრო ოპერატიულად და მიზანმიმართულად მიიღოს გადაწყვეტილებები მთავრობის სხდომაზე.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** განმარტა, რომ რეგლამენტში აღმოიფხვრება ტექნიკური ხარვეზი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის **მე-14 მუხლის პირველი პუნქტი** ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, იმ სტრუქტურული ერთეულის ინიცირებულ საკითხს, რომლის ხელმძღვანელი არ არის მთავრობის წევრი, წარადგენს ამავე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. რეგლამენტის მოქმედი რედაქცია, ასეთ ჩანაწერს არ იცნობს. ცვლილება კი უზრუნველყოფს ზემოხსენებული ხელმძღვანელი პირების უფრო მეტ ჩართულობას მთავრობის სხდომების მუშაობაში.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** დასძინა, რომ სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება**.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ - **თამარ გვიჩიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს გაუქმების გადაწყვეტილება და შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი, თანმდევ პროცესად იწვევს წარმოდგენილი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლიდან უნდა გამოიყოს სამართლებრივი საფუძვლები.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ასევე, განმარტა, რომ დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები და პირველი მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-32 დადგენილება."

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ - **თამარ გვიჩიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში გათვალისწინებული ყველა ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა საბჭოს უფლებამოსილებას ამოღებულ იქნა. ასევე, ჩანაწერი, სადაც განსაზღვრული იყო ზონალური შეთანხმების გაცემის პროცესში საბჭოს მონაწილეობა, უქმდება.

ქალბატონმა **თამარ გვიჩიანმა** აღნიშნა, რომ ხსენებული საბჭოს ფუნქციას შეითავსებს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია, მიზანშეწონილად მიიჩნევს დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებას. შესაბამისად, დადგენილების პრეამბულა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მერაბ მამულაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (**M3 კატეგორია**) მარშრუტებში შედის შემდეგი ცვლილებები:

მარშრუტი N32 - აღნიშნულ მარშრუტზე მოსალოდნელი მოძრავი შემადგენლობების ჩანაცვლების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ მოძრაობის მარშრუტებში, მარშრუტი N32-ის შესაბამის სვეტში **დამატებით შეტანილია დასახელება „დიდი ტევადობა"** და მასთან ერთად სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში საჭირო სატრანსპორტო საშუალების რაოდენობა.

მარშრუტი N39 - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა ვარკეთილის მე-4 მ/რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩიდან გაგრძელდება და მოძრაობა განხორციელდება: სესილია თაყაიშვილის ქუჩა - ვიქტორ კუპრაძის ქუჩა. (მობრუნება ვარკეთილის მე-4 მ/რაიონის, კორპუსი N407-ის მიმდებარე ტერიტორიასთან)

მარშრუტი N41 - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა სოფელ წინაუბანში მშვიდობისა და გუდამაყრის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორიიდან დამატებით გაგრძელდება იალონის ქუჩაზე.

მარშრუტი N54 - აღნიშნული წარმოადგენს ახალ მარშრუტს. მისი დაწესების მიზანშეწონილობა გამოწვეულია დიდ დიღომში ინფრასტრუქტურის განვითარებიდან გამომდინარე, სადაც საგრძნობლად გაიზარდა მაცხოვრებელთა რაოდენობა. მარშრუტის მოძრაობის მიმართულება მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრა **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით.**

მარშრუტი N6 - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა ნუცუბიძის ქუჩიდან პეკინის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: ბუდაპეშტის ქ. - პეკინის ქ. - ვაჟა-ფშაველას გამზირი - ბექას ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის ქ., ნაცვლად სიმონ კანდელაკის ქ. - ჟვანიას მოედანი - პეკინის ქ-სა. **აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია პეკინისა და სიმონ კანდელაკის ქუჩებზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე.**

მარშრუტი N 6,47,87 - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა მერაბ კოსტავას ქუჩიდან პეკინის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: მერაბ კოსტავას ქ. - გიორგი მიროტაძის ქ. -

პეკინის ქ., ნაცვლად მერაბ კოსტავას ქ. - პეკინის ქუჩა. **აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია პეკინის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე.**

მარშრუტი N47 - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა პეკინის ქუჩიდან მიცკევიჩის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: პეკინის ქ. - ვაჟა-ფშაველას გამზირი - ბექას ქ. - გიორგი გამრეკელის ქ. - ადამ მიცკევიჩის ქ., ხოლო უკუ მიმართულებისას მიცკევიჩის ქუჩიდან პეკინის ქუჩის მიმართულებით მოძრაობა განხორციელდება: მიცკევიჩის ქ. - გამრეკელის ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის ქ. **აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია პეკინის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე.**

მარშრუტი N29 - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა ბუდაპეშტის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: ბუდაპეშტის ქ. - პეკინის ქ. - სიმონ კანდელაკის ქ. - ჟიული შარტავას ქ., ნაცვლად ბუდაპეშტის ქ. - სიმონ კანდელაკის ქ. - ჟვანიას მოედანი - ჟიული შარტავას ქ-სა. **აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია პეკინისა და სიმონ კანდელაკის ქუჩებზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე.**

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახური მუდმივად ცდილობს მოძრაობის გასაუმჯობესებლად დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფას და აღნიშნა, რომ საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში აღდგება **N13** ავტობუსის მარშრუტი, რომელიც დიდი დიღმიდან სახელწმიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმართულებით იმოძრავებს.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.**

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მეორე მუხლში არსებული ჩანაწერი: „დადგენილება ამოქმედდეს 5 დღის შემდეგ“ - სასურველია საკანონმდებლო ტექნიკიდან გამომდინარე, მეტად დაზუსტდეს და მიეთითოს კონკრეტული თარიღი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მერაბ მამულაშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში ხდება შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

1. მარშრუტი **№63** - რომელიც მოძრაობს ზაჰესის დასახლებაში, დასახლებაში დგომის ადგილად განესაზღვროს მშვიდობის ქ. №14-ის მიმდებარე ტერიტორია, ამასთან მარშრუტს მოძრაობა გაუგრძელდა თბილისის მოლამდე.

2. მარშრუტები :**№4,19,31,72,120,131,141,170,176** აღნიშნული მარშრუტების მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით თავისუფლების მოედნიდან განხორციელდება ალექსანდრე პუშკინის ქუჩის გავლით, ნაცვლად შოთა რუსთაველის გამზირის, გიორგი ჭანტურიას ქუჩის, სოლიკო ვირსალაძის ქუჩისა და მარჯვენა სანაპიროსი. აღნიშნული ცვლილება შეამცირებს მარშრუტზე დროს დანახარჯს, შესაბამისად გაუმჯობესდება სატრანსპორტო მომსახურეობა.

3. მარშრუტი **№67** - მარშრუტის მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით თავისუფლების მოედნიდან განხორციელდება ალექსანდრე პუშკინის ქუჩის გავლით, ნაცვლად რუსთაველის გამზირის, ჭანტურიას ქუჩის, სოლიკო ვირსალაძის ქუჩისა და მარჯვენა სანაპიროსი. ასევე, მარშრუტის მოძრაობა ზაარბრიუკენის მოედნის მიმართულებით განხორცილდება: ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - მარცხენა სანაპირო - კოსტა ხეთაგუროვის ქ. - მიხეილ ჯავახიშვილის ქ. - მოსე გოგიბერიძის ქ. - ზაარბრიუკენის მოედანი, ნაცვლად თავისუფლების მოედანი - შოთა რუსთაველის გამზირი - გიორგი ჭანტურიას ქ. - სოლიკო ვირსალაძის ქ. - მარჯვენა სანაპირო (მობრუნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდთან) - ჩუღურეთის ხიდისა.

4. მარშრუტი **№176** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა აბაშვილის ქუჩა №3, კორპუსი №10-ის მიმდებარე ტერიტორიიდან გაგრძელდა „ისთ ფოინთამდე" გიორგი აბაშვილის და კახეთის გზატკეცილის გავლით.

5. მარშრუტი **№170** - მარშრუტის მოძრაობა ვარკეთილის II მ/რ, კორპუსი №32-ის მიმდებარე ტერიტორიიდან მიხეილ გახოკიძის ქუჩის გავლით გაგრძელდა „ისთ ფოინთამდე".

6. მარშრუტი **№177** - მარშრუტის მოძრაობა ონკოლოგიური კვლევითი ცენტრიდან ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმართულებით განხორციელდება ბუდაპეშტისა და იონა ვაკელის ქუჩების გავლით, ნაცვლად ბუდაპეშტის ქ. - შალვა ნუცუბიძის ქ. - ფერდინანდ თავაძის ქ. - სერგო ზაქარიაძის ქ. - ვაჟა-ფშაველას I ჩიხისა.

7. მარშრუტები: **№108, 140** - აღნიშნული მარშრუტების მოძრაობა დავით აღმაშენებლის გამზირიდან ზაარბრიუკენის მოედნის მიმართულებით განხორციელდება ჭოროხისა და დიმიტრი უზნაძის ქუჩების გავლით, ნაცვლად დავით აღმაშენებლის გამზირისა. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია დავით აღმაშენებლის გამზირის მონაკვეთის საფეხმავლოდ მოწყობიდან გამომდინარე.

8. მარშრუტი **№35** - მარშრუტის მოძრაობა დავით აღმაშენებლის გამზირიდან ზაარბრიუკენის მოედნის მიმართულებით განხორციელდება ჭოროხისა და დიმიტრი უზნაძის ქუჩების გავლით, ნაცვლად დავით აღმაშენებლის გამზირისა, ხოლო ზაარბრიუკენის მოედნიდან დავით აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით მოძრაობა განხორციელდება მარცხენა სანაპიროს, დიმიტრი უზნაძის და სანქტ-პეტერბურგის ქუჩების გავლით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია დავით აღმაშენებლის გამზირის მონაკვეთის საფეხმავლოდ მოწყობიდან გამომდინარე.

9. მარშრუტი **№49** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა მაზნიაშვილის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნის მიმართულებით განხორციელდება ივანე ჯავახიშვილისა და რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩების გავლით, ნაცვლად კიევის ქუჩის, დავით აღმაშენებლის გამზირის, ჭოროხისა და დიმიტრი უზნაძის ქუჩების გავლისა.

10. მარშრუტი **№59** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა მ/ს „სარაჯიშვილიდან" გურამიშვილის გამზირის გავლით გაგრძელდა მ/ს „ღრმაღელემდე".

11. მარშრუტი **№62** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი"-ს მიმდებარე ტერიტორიიდან (მარშრუტის გაჩერების ადგილი) გაგრძელდება საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი „თბილისის ზღვის პლაზა"-ს მიმდებარე ტერიტორიამდე.

12. მარშრუტი **№88** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა ვაზისუბნის მე-3 მ/რ, მე-2 კვარტლის კორპუსი №7-8-ის მიმდებარე ტერიტორიიდან გაგრძელდა საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი „თბილისის ზღვის პლაზა"-ს მიმდებარე ტერიტორიამდე.

13. მარშრუტი **№107** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობს თეთრი ხევ-ჰესის დასახლებიდან მ/ს „სამგორის"-ს მიმდებარე ტერიტორიამდე. მარშრუტი გზასავალზე შევა „ისთ ფოინთი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე და შემდეგ კახეთის გზატკეცილით გააგრძელებს მოძრაობას დადგენილი მარშრუტით.

14. მარშრუტი **№52** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობს წყალსადენის ქ. №7-ის მიმდებარე ტერიტორიიდან მ/ს „სარაჯიშვილი"-ს მიმდებარე ტერიტორიამდე. მარშრუტის მოძრაობას წყალსადენის ქ. №7-მდე დაემატა მონასტრისა და ტაძრის ქუჩებზე მოძრაობა.

15. მარშრუტი **№148** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან განხორციელდება: შუშის ქ. - ჭედიას ქ. - ილორის ქ. - სარაჯიშვილის ქ. - მ/ს „სარაჯიშვილი“ - შეშელიძის ქ. - მ/ს „ახმეტელი“-ს მიმდებარე ტერიტორიამდე, ნაცვლად: მორის ფოცხიშვილის ქ. - დავით სარაჯიშვილის ქ. - დავით გურამიშვილის გამზირი - თორნიკე ერისთავის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - გიორგი ცაბაძის ქ. - დავით აღმაშენებლის გამზირი - თამარ მეფის გამზირი - სადგურის მოედანი - სასტუმრო „კოლხეთის“ მიმდებარე ტერიტორიისა.

16. მარშრუტი **№64** - აღნიშნული წარმოადგენს ახალ მარშრუტს, რომელიც გათვალისწინებულია სიმონ ჩიქოვანის ქუჩის და ნინო რამიშვილის ქუჩებზე მცხოვრების მოქალაქეების სატრანსპორტო მომსახურებისთვის. მარშრუტის მოძრაობის მიმართულებაა: ნინო რამიშვილის მე-3 ჩიხი - სიმონ ჩიქოვანი ქ. - მერაბ კოსტავას ქ. - გმირთა მოედანი - ვარაზისხევის ქ. - პეტრე მელიქიშვილის ქ. - შოთა რუსთაველის გამზირი - თავისუფლების მოედანი - ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. - ორბელიანის მოედანი.

17. მარშრუტი **№17** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა ბუდაპეშტის ქუჩიდან პეკინის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: პეკინის ქ. - ვაჟა-ფშაველას გამზირი. - ბექას ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის ქ.

18. მარშრუტი **№26** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა ნუცუბიძის ქუჩიდან პეკინის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: ბუდაპეშტის ქ. - პეკინის ქ. - ვაჟა-ფშაველას გამზირი - ბექას ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის ქ. , ნაცვლად სიმონ კანდელაკი ქ. - ჟვანიას მოედანი - პეკინის ქუჩისა.

19. მარშრუტები: **№4.11.161** - აღნიშნული მარშრუტების მოძრაობა იონა ვაკელის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: ბუდაპეშტის ქ. - პეკინის ქ. - სიმონ კანდელაკის ქ. - ჟული შარტავას ქ., ნაცვლად იონა ვაკელის ქუჩიდან სიმონ კანდელაკის ქუჩისა.

20. მარშრუტები: **№58.66.72** - აღნიშნული მარშრუტების მოძრაობა ნუცუბიძის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: ბუდაპეშტის ქ. - პეკინის ქ. - სიმონ კანდელაკის ქ. - ჟიული შარტავას ქ., ნაცვლად იონა ვაკელის ქუჩიდან სიმონ კანდელაკის ქუჩისა.

21. მარშრუტები: **№19, 34** - აღნიშნული მარშრუტების მოძრაობა ჟვანიას მოედნიდან პეკინის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: ჟვანიას მოედანი - პეკინის ქ. - ვაჟა-ფშაველას გამზირი - ბექას. ქ. - ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი - პეკინის ქ., ნაცვლად ჟვანიას მოედანი - პეკინის ქუჩისა.

22. მარშრუტი: **№171** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა გიორგი სააკაძის მოედნიდან ბახტრიონის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: გიორგი სააკაძის მოედანი - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის ქ. - ბახტრიონის ქ., ნაცვლად: გიორგი სააკაძის მოედანი - მერაბ კოსტავას ქ. - მიროტაძის ქ. - პეკინის ქუჩისა.

23. მარშრუტი: **№81** - აღნიშნული მარშრუტის მოძრაობა მერაბ კოსტავას ქუჩიდან ბახტრიონის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: მერაბ კოსტავას ქ. - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის ქ. - ბახტრიონის ქ., ნაცვლად მერაბ კოსტავას ქ. - პეკინის ქ. - ბახტრიონის ქუჩისა.

24. მარშრუტები: **№2,15,17,19,34,50,51,75,102,140,149,184,200** - აღნიშნული მარშრუტების მოძრაობა მერაბ კოსტავას ქუჩიდან პეკინის ქუჩის მიმართულებით განხორციელდება: მერაბ კოსტავას ქ. - მიროტაძის ქ. - პეკინის ქ., ნაცვლად მერაბ კოსტავას ქ. - პეკინის ქუჩისა.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში 2017 წლის 8 აგვისტოს წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას 38 (ოცდათვრამეტი) პირისთვის, რომლებიც 2002-2005 წლებიდან დღემდე ცხოვრობენ და სარგებლობენ აღნიშნული ფართით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ გადასაცემი უძრავი ქონების ჯამური ფართობი არის 1992 კვ.მ.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნა არ გააჩნია.

ბატონმა ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ ძალიან კარგი ტენდენციაა მოქალაქეთათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა და დასძინა, რომ მსგავსი ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ხალხისთვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა **ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, არიან თუ არა აღნიშნული პირები დევნილის სტატუსის მქონენი.

ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული პირები არ არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები და ასევე აღნიშნა, რომ დევნილთათვის ქონების გადაცემას განსხვავებული პროცედურების გავლით ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: #01.11.05.035.010), შენობა-ნაგებობა #1-ში, პირველ სართულზე 540.31 კვ.მ ფართის შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის" (ს/კ: 200209844) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს **შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის"**, ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, პირველ სართულზე 540.31 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, **უსასყიდლო უზუფრუქტის** ფორმით გადაცემაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიას“ დირექტორმა **ნანა გერგედავამ** განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ხსენებული ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით **უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით** გადაცემა **2 წლის ვადით,** განსაზღვრული პირობებით და ვალდებულებებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით **2 წლის ვადით** უკვე გადაცემული იყო შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის და ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის დადებითი წერილობითი პოზიციები, შესაბამისი ფართის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“ გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 წლის ვადით**, შპს „ზაურ ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურიასთვის“ გადაცემის შესახებ, წინადადების შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია სამართლებრივ საფუძვლებში ჩაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **122[1] მუხლის მე-8 პუნქტი,** რომლის თანახმადაც, თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება **სასყიდლით ან უსასყიდლოდ,** პირობით ან უპირობოდ. თბილისის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოთ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თინათინ კასრაძე